]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1074
17/05/2018

1074-01-4-201805171827

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2018 წლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტის- ,,თავისუფალი თემა"-ბლოგების შექმნა, გამარჯვებული საჯარო და კერძო სკოლების ბლოგების გამოსავლენად, დროებითი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2018 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის- ,,თავისუფალი თემა"-ბლოგების შექმნა, საჯარო და კერძო სკოლების გამარჯვებული ბლოგების გამოვლენის მიზნით, მიზანშეწონილია დროებითი კომისიის შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის''54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე." ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას დროებითი კომისია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2018 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის ,,თავისუფალი თემა"-ბლოგების შექმნა, საჯარო და კერძო სკოლების გამარჯვებული ბლოგების გამოვლენის მიზნით, შემდეგი შემადგენლობით:

ვაჟა ჯუღელი - ააიპ ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების'' მმართველი -კომისიის თავმჯდომარე; -/მოწვევით/

ელეონორა გოგოლაშვილი- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -კომისიის წევრი;

ალექსანდრე დვალიშვილი - ააიპ ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო გაერთიანების'' განათლების განყოფილების უფროსი -კომისიის წევრი /მოწვევით/;

მაყვალა ქობულაძე - ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო გაერთიანების'' განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი -კომისიის წევრი /მოწვევით/;

ვალერიან მეძმარიაშვილი - იმერეთის მხატვართა რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი- კომისიის წევრი /მოწვევით/;

მერაბ კეზევაძე - ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი - კომისიის წევრი /მოწვევით/;

შოთა აბჟანდაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელშეკრულებით მომუშავე - კომისიის წევრი /მოწვევით/;

2. დამტკიცდეს კონკურსის დებულება დანართის შესაბამისად /თან ერთვის/;

3.ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /ლ.კინწურაშვილი/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე და ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებში;

4.ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

6. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;

იუზა უგულავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი